შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

SBA-REG-076

თბილისი

დოკუმენტის დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების ფორმა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

დამტკიცების საფუძველი	დამტკიცების თვე, რიცხვი და ნომერი	ცვლილების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თვე, რიცხვი ნომერი	გაუქმების საფუძველი	გაუქმების თვე, რიცხვი და ნომერი	შეცვლილი დანართი თავი/მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი	დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების განმახორციელებელი პირ(ებ)ი, სახელი გვარი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თამარ შუდრას 2025 წლის 20 მაისის №7483 წერილი	20.05.2025 N7484 ბრძანება	--	--	--	--	--	ია ერაძე დირექტორი

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესახებ

1. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია“-ს (ს/კ 406037550), ელ-ფოსტა: info@sba.edu.ge (შემდგომ - აკადემია) პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის (შემდგომ - პოლიტიკა) მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიის მიერ თქვენთვის მოწოდებული საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში თქვენი პერსონალური მონაცემების (შემდგომ - მონაცემები) დამუშავების გამჭვირვალობას. აკადემია პატივს სცემს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვას.
2. აკადემია თქვენს მონაცემებს ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებითა და ამავე კანონით განსაზღვრული საფუძვლებით. ამასთან, აკადემია ამუშავებს მხოლოდ იმ მონაცემებს, რაც აუცილებელია აკადემიის კანონიერი მიზნების მისაღწევად.
3. თქვენი მონაცემების დამუშავებისას, დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების ყველა პრინციპი. ჩვენ მაქსიმალურად ვიცავთ თქვენს მონაცემებს და ამისათვის დანერგილი გვაქვს სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომები.
4. პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.
5. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა განსაზღვრულია აკადემიის პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, კურსდამთავრებულების, ვიზიტორების, პროფესიული განათლების მასწავლებელის, ტრენერებისა და დარგის მოწვეული წევრებისათვის.

მუხლი 2. რა სახის მონაცემებს ვამუშავებთ, როგორ და რა მიზნით

ჩვენ ვამუშავებთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რასაც თქვენ გვაწვდით ნებაყოფლობით, სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ ან რომელთა დამუშავებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან/და სავალდებულოა აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან/და აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, თქვენთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად. ასევე, თქვენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ვამუშავებთ თქვენი წერილობითი თანხმობის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესი

თქვენთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის მიზნით, ჩვენს მიერ მუშავდება თქვენი შემდეგი მონაცემები:

1. **აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპზე, აკადემიის მიერ მუშავდება:**
ა) თქვენი სახელი, გვარი, პირადობის მოწმობაში არსებული ინფორმაცია, წინმსწრები განათლების დადასტურებულ დოკუმენტე(ბ)ში არსებული ინფორმაცია;
ბ) საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა), ალტერნატიული საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა)[1];
გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია[2].
დ) არჩეული პროგრამა;
ე) სამუშაო ადგილიდან ცნობაში არსებული ინფორმაცია[3];
ვ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია[4];
ზ) გავლილი მოდულების შესახებ ცნობაში მითითებული ინფორმაცია[5];
თ) კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადობის მოწმობაში არსებული მონაცემები, დაბადების მოწმობა/მინდობილი პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტში არსებული ინფორმაცია;[6]
ი) თქვენი/თქვენი კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა;
კ) მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასების ფორმაში არსებული ინფორმაცია (სსმ პირის სტატუსის ფლობის დადასტურებისათვის) (არსებობის შემთხვევაში);
ლ) თქვენი შეფასების ინსტრუმენტი და შეფასება[7];
მ) საქართველოს კანონმდებლობით[8] დადგენილი სხვა ინფორმაცია.

2. აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/აღდგენის ეტაპზე, აკადემიის მიერ მუშავდება - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პროგრამა, სტატუსის

[1] მუშავდება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის საფუძვლით.
[2] 17-27 წლის მამრობითი სქესის პირებისათვის.
[3] პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოთხოვნილია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის წინაპირობით.
[4] წინსმწრები განათლების/მობილობის შემთახვევაში გავლილი კრედიტების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღების/მოპოვების შემთხვევში.
[5] მობილობის წესით აკადემიაში ჩარიცხვის შემთხვევაში.
[6] არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში.
[7] მე-3 და მე-4 დონის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
[8] ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის #11/ნ ბრძანება, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანება.

შეჩერება/შეწყვეტის/აღდგენის მიმართ კანონმდებლობით/აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული საფუძველი.

3. **აკადემიის ბაზაზე განხორციელებული სასწავლო პროცესის ფარგლებში** - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა, პროგრამის/მოდულის/თემატიკის/სწავლის შედეგის სახელწოდება, ჯგუფის ნომერი, შეფასების მტკიცებულება, (ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (დამატებითი/განმეორებითი გამოცდით უსასყიდლოდ სარგებლობისათვის)[9].
პროფესიული განათლების მასწავლებლის/დარგის სპეციალისტის: სახელი, გვარი, ხელმოწერა, თვითრეფლექსია (ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება, პოზიცია.
ტრენერის: სახელი, გვარი, ხელმოწერა, ანგარიშის ნომერი, სტატუსი.

4. **აკადემიის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის განხორციელებული სასწავლო ექსკურსის ფარგლებში** - მონაცემთა სუბიექტის ფოტოგამოსახულება (თქვენივე თანხმობის საფუძველზე), პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, ხელმოწერა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის სახელი, გვარი, მანქანის სახელმწიფო ნომერი.

5. **აკადემიის მიერ შეთავაზებული საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში** - პროფესიული სტუდენტი/მსმენელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა, პროგრამის/მოდულის სახელწოდება, ჯგუფის ნომერი, შეფასების მტკიცებულება.

6. **პროგრამის დასრულების შემდგომ დიპლომების, დუბლიკატების, სერტიფიკატებისა და სერტიფიკატების დუბლიკატების, დანართების მომზადება, რეგისტრაციის/გაცემის ეტაპზე** - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი გვარი, მამის სახელი, პროგრამის დასახელება, კომისიის ოქმის/ბრძანების ნომერი, თარიღი, დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი, მინიჭებული კვალიფიკაცია/დასრულებული პროგრამის სახელწოდება, დიპლომის/სერტიფიკატის შევსების თარიღი, გატანაზე პასუხისმგებელი პირის პირადი ნომერი, ხელმოწერა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მონაცემები.[10]

შენიშვნა:
** ზემოაღნიშნულ ეტაპებზე (გარდა თქვენი თანხმობით მონაცემების მიწოდების ნაწილისა) თქვენი მონაცემების დამუშავება სავალდებულოა. სხვა შემთხვევაში, აკადემია ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაგიწიოთ საგანმანათლებლო მომსახურება.*

[9] ამ ეტაპზე თქვენი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების, ასევე თქვენი უფლებების შესახებ დეტალურად გეცნობებათ განაცხადის შევსების ეტაპზე.
[10] ,,პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის №99/ნ ბრძანება.

**ჩარიცხვის პროცესში ალტერნატიული საკონტაქტო ინფორმაციის (ტელეფონი, ელ-ფოსტა) დამუშავების საფუძველია აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი, რათა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ჰქონდეს თქვენთან დაკავშირების ალტერნატიული არხი. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ეტაპზე თქვენ ირჩევთ ვისი საკონტაქტო ინფორმაცია მიაწოდოთ აკადემიას.*

**ზემოაღნიშნულ პროცესებში თქვენი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების დეტალური აღწერილობა იხ. ქვევით.*

მუხლი 4. ელექტრონული სისტემების გამოყენებით თქვენი მონაცემების დამუშავება

1. აკადემიის მიერ თქვენთვის მოწოდებული მომსახურების პროცესში, თქვენი მონაცემები ასევე შეიძლება დამუშავდეს აკადემიის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ელექტრონული სისტემებით აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების ან/და აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნებით:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის Microsoft Team-ის საშუალებით დისტანციურად განხორციელების ფარგლებში - თქვენი სახელი, გვარი, გამოსახულება, ხმა, ელ-ფოსტა, ზეპირი გამოკითხვის დროს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია. პლატფორმის საშუალებით განხორციელებული სასწავლო/შეფასების პროცესი, აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებისა და აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად იწერება და პლაფორმაზე ინახება 21 დღის განმავლობაში. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია, გამოიყენოს პლატფორმაზე შენახული ჩანაწერი (მათ შორის სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაცემების ამსახველი ჩანაწერი) მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის. ამასთან, აღნიშნული ჩანაწერი, ასევე ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის სხვა მონაწილე პირებისთვის (პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა პროფესიული სტუდენტი/მსმენელი) ამავე ვადით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანმანათლებო პროცესის ჯეროვანი განხორციელება. აღნიშნულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ჩამოტვირთონ ჩანაწერი (პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს - სასწავლო მიზნებისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებს - თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების მიზნებისათვის).

ბ) ჩემი SBA - პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო (ნებაყოფლობით) ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ, შეფასებების შესახებ, პროფესიული სტუდენტის დასწრების შესახებ.

გ) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-flow)/აკადემიის ინსტიტუციური ელ-ფოსტა (info@sba.edu.ge) – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა (არსებობის შემთხვევაში), მონაცემთა სუბიექტის მიერ კორესპონდენციაში მითითებული ინფორმაცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია (პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დამატებით/განმეორებით გამოცდაზე დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში).

დ) ა(ა)იპ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სისტემა - „Openbiblio“ - თქვენი სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, გატანილი წიგნის სახელწოდება, საინვენტარო ნომერი, გატანისა და დაბრუნების თარიღები.

შენიშვნა:
**ზემოაღნიშნულ ეტაპებზე (გარდა თქვენი თანხმობით მონაცემების მიწოდების ნაწილისა) თქვენი მონაცემების დამუშავება სავალდებულოა. სხვა შემთხვევში, აკადემია ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაგიწიოთ საგანმანათლებლო მომსახურება/დააკმაყოფილოს აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა.*

**ზემოაღნიშნულ პროცესებში თქვენი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების დეტალური აღწერილობა იხ. ქვევით.*

მუხლი 5. საკუთრებისა და უსაფრთხოების მიზნებით მონაცემების დამუშავება

1. ვიდეომეთვალყურეობა

ა) თქვენი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის,[11] ასევე აკადემიის სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებისათვის, რომელთა მიღწევა სხვა ალტერნატიული საშუალებებით ვერ განხორციელდება ან/და იგი აკადემიისაგან მოითხოვს არაპროპორციულ ხარჯებს/ძალისხმევას, აკადემიის ტერიტორიაზე (შიდა და გარე პერიმეტრზე) მიმდინარეობს ვიდეომეთვალყურეობა.

ბ) ვიდეომონიტორინგის შესახებ აკადემია უზრუნველყოფს თქვენს წინასწარ ინფორმირებას კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნის მეშვეობით.

გ) ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაცემების დამუშავების წესისა და მონაცემების შენახვის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

2. ვიზიტორთა შესვლა-გასვლის აღრიცხვა

[11] „ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილება, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება.

აკადემიის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აკადემიის ტერიტორიაზე აღირიცხება ვიზიტორთა შესვლა-გასვლა. ამ მიზნით მუშავდება თქვენი სახელი, გვარი, აკადემიის ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის დრო.

შენიშვნა:
**ზემოაღნიშნულ ეტაპებზე თქვენი მონაცემების დამუშავება სავალდებულოა (გარდა ვიზიტორთა შესვლა-გასვლის აღრიცხვის ნაწილისა). სხვა შემთხვევში, აკადემია ვერ უზრუნველყოფს შეასრულოს აკადემიისათვის კანონმდებელობით დაკისრებული მოვალეობა.*

**ვიზიტორთა შესვლა-გასვლის აღრიცხვის ნაწილში, აკადემიის მიერ თქვენი მონაცემების დამუშავების საფუძველია აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი.*

**ზემოაღნიშნულ პროცესებში თქვენი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების დეტალური აღწერილობა იხ. ქვევით.*

მუხლი 6. მარკეტინგული მიზნებით მონაცემების დამუშავება

1. აკადემიის საქმიანობის პოპულარიზაციის ან/და აკადემიის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ასევე აკადემიის მიერ პოტენციური მომხმარებლების მოზიდვისა და პოტენციურ კლიენტებთან ეფექტური კომუნიკაცის, პოტენციური კლიენტების შესახებ ინფორმაციის ანალიზის/ტენდენციების განსაზღვრის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (VET.GE) რეგისტრაციის პროცესში პოტენციური აპლიკანტის მხარდაჭერისა და აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად, აკადემიის მიერ მუშავდება ამ მუხლით გათვალისწინებული მონაცემები.

3. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, ჩვენი სოციალური ქსელის გვერდზე, თქვენს მიერ ნებაყოფლობით განაცხადის ფორმის შევსების ეტაპზე**

ა) თქვენი სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, განათლება, ასაკი, სასურველი პროგრამა.

ბ) ამ პროცესში თქვენს მიერ ინფორმაციის მოწოდება ნებაყოფლობითია - თქვენ შესაძლებლობა გაქვთ ამ ფორმის შევსების გარეშეც დარეგისტრირდეთ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (VET.GE). ამ პროცესში თქვენი მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა თქვენ ასევე გაქვთ უშუალოდ განაცხადის ფორმის შევსებისას, ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტზე (ბმულზე) გადასვლის გზით.

4. **აკადემიის ვებ/გვერდზე/სოციალურ ქსელში/საიმიჯო მასალებზე თქვენი თანხმობის საფუძველზე, თქვენი პერსონალური მონაცემების განთავსების ეტაპზე** - თქვენი სახელი, გვარი, ფოტო, ვიდეო, სტატუსი, ინფორმაცია თქვენი მიღწევების შესახებ.

შენიშვნა:
**ზემოაღნიშნულ ეტაპებზე თქვენი მონაცემების დამუშავება ნებაყოფლობითია და ხორციელდება თქვენი თანხმობის საფუძველზე.*

**ზემოაღნიშნულ პროცესებში თქვენი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების დეტალური აღწერილობა იხ. ქვევით.*

მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებით მონაცემების დამუშავება

1. აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის,[12] ასევე აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში, მუშავდება თქვენი პერსონალური მონაცემები. მათ შორის:

ა) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კვლევის პროცესში - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ელ-ფოსტა.
ამ პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, ხოლო თქვენს მიერ კითხვარის შევსების ეტაპზე არ ფიქსირდება თქვენი ვინაობა (კვლევა ანონიმურია), გარდა იმ შემთხვევისა, როცა თქვენი სურვილით გაამჟღავნებთ საკუთარ მონაცემებს.

ბ) აკადემიაში დანერგილი პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შესაძლოა დამუშავდეს - პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პროფესიული სტუდენტის უნიკალური ნომერი, პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტუმენტი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, ხელმოწერა.

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან (ინსტრუქტორთან) უკუკავშირის პროცესში - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შეფასება.

დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დადასტურებისათვის, მტკიცებულებების შეგროვების ნაწილში (მათ შორის თქვენი მონაცემების შემცველი ,,სქრინების"/ფოტოების გადაღება) - ნებისმიერი მონაცემი, რომლის წარდგენის გარეშე, აკადემია ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დადასტურებას.

[12] ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #131 დადგენილება.

ე) ამასთან ამ პროცესში, მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დაცვის მიზნებისათვის, მესამე პირებს თქვენი პერსონალური მონაცემები გადაეცემათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როცა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დადასტურება განზოგადებული/დეპერსონიფიცირებული მონაცემებით ვერ მიიღწევა.

შენიშვნა:
ზემოაღნიშნულ ეტაპებზე თქვენი მონაცემების დამუშავება სავალდებულოა. სხვა შემთხვევში, აკადემია ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაგიწიოთ საგანმანათლებლო მომსახურება/დააკმაყოფილოს აკადემიისათვის კანონმდებელობით დაკისრებული მოვალეობა.

ზემოაღნიშნულ პროცესებში თქვენი მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლების დეტალური აღწერილობა იხ. ქვევით.

მუხლი 8. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. თქვენი მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი კანონიერი საფუძვლით.
2. მონაცემთა დამუშავების საფუძვლებია:

№	პროცესი	მონაცემი	მიზანი	საფუძველი
1	**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპი**	თქვენი სახელი, გვარი, პირადობის მოწმობაში არსებული ინფორმაცია, წინმსწრები განათლების დადადასტურებულ დოკუმენტ(ებ)ში არსებული ინფორმაცია; საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა), ალტერნატიული საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა)[13]; სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია;[14] არჩეული საგანმანათლებლო პროგრამა; სამუშაო ადგილიდან ცნობაში არსებული ინფორმაცია[15]; უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია[16];	საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა	მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად
				აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად
				აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებულო მოვალეობის შესასრულებლად
				განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

[13] მუშავდება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის საფუძვლით.
[14] 17-27 წლის მამრობითი სქესის პირებისათვის.
[15] პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოთხოვნილია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის წინაპირობით.
[16] წინსმწრები განათლების/მობილობის შემთხვევაში გავლილი კრედიტების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღების/მოპოვების შემთხვევში.

		გავლილი მოდულების შესახებ ცნობაში მითითებული ინფორმაცია[17]; კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადობის მოწმობაში არსებული მონაცემები, დაბადების მოწმობა/მინდობილი პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;[18] თქვენი/თქვენი კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა; მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასების ფორმაში არსებული ინფორმაცია (სსმ პირის სტატუსის ფლობის დადასტურებისათვის) (არსებობის შემთხვევაში); თქვენი შეფასების ინსტრუმენტი და შეფასება[19]; საქართველოს კანონმდებლობით[20] დადგენილი სხვა ინფორმაცია.		მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზნებით
2	**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/აღდგენის ეტაპი**	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პროგრამა, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/აღდგენის მიმართ კანონმდებლობით/აკადემიის წესდებით განსაზღვრული საფუძველი	საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება,საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა	მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებულო მოვალეობის შესასრულებლად
3	**აკადემიის ბაზაზე განხორციელებული სასწავლო პროცესი (მოკლევადიანი, გრძელვადიანი და სასერტიფიკატო პროგრამები)**	პროფესიული სტუდენტი/მსმენელის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა, პროგრამის/მოდულის/თემატიკის/სწავლის შედეგის სახელწოდება, ჯგუფის ნომერი, შეფასება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), შეფასების მტკიცებულება (ნამუშევარი), (ინფორმაცია ჯანმრთელლობის მდგომარეობის შესახებ (დამატებითი/განმეორებითი გამოცდით უსასყიდლოდ სარგებლობისათვის) პროფესიული განათლების მასწავლებლის/დარგის სპეციალისტის: სახელი, გვარი, ხელმოწერა, თვითრეფლექსია (ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება, პოზიცია. ტრენერის: სახელი, გვარი, ხელმოწერა, ანგარიშის ნომერი, სტატუსი.	პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის პროგრამით განსაზღვრული ცოდნა, უნარებისა და კომპეტენციების მიცემა - მომსახურების გაწევის გზით	მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად გამონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით განსაკურებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე
4	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის განხორციელებული სასწავლო ექსკურსია**	მონაცემთა სუბიექტის ფოტოგამოსახულება (თქვენივე თანხმობის საფუძველზე), პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, ხელმოწერა, ავტოსატრანსპორტო საშუალების	პროფესიული სტადარტით/პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების	მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად

[17] მობილობის წესით აკადემიაში ჩარიცხვის შემთხვევაში.
[18] არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში.
[19] მე-3 და მე-4 დონის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
[20] ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის #11/ნ ბრძანება, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანება.

		მძღოლის სახელი, გვარი, მანქანის სახელწმიფო ნომერი.	შესრულება, საკანონდებლო ვალდებულების შესრულება	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებალდ აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად მონაცემთა სუბიექტის თანხმობა
5	**აკადემიის მიერ შეთავაზებული საწარმოო პრაქტიკის ეტაპზე**	პროფესიული სტუდენტი/მსმენელის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა, პროგრამის/მოდულის სახელწოდება, ჯგუფის ნომერი, შეფასება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), შეფასების მტკიცებულება (ნამუშევარი).	პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის პროფესიული სტანდარტით/საგანმანათლებო პროგრამით განსაზღვრული ცოდნა, უნარებისა და კომპეტენციების მიცემა (პრაქტიკული ნაწილი) - მომსახურების გაწევის გზით	მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება
6	**დიპლომების, დუბლიკატების, სერტიფიკატებისა და სერტიფიკატების დუბლიკატების, დანართების მომზადება, რეგისტრაცია, გაცემის ეტაპი**	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი გვარი, მამის სახელი, პროგრამის დასახელება, კომისიის ოქმის ნომერი/ბრძანების ნომერი, თარიღი, დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი, მინიჭებული კვალიფიკაცია/დასრულებული პროგრამის სახელოწდება, დიპლომის/სერტიფიკატის შევსების თარიღი, გატანაზე პასუხიმგებელი პირის პირადი ნომერი, ხელმოწერა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მონაცემები.	საკანონმდებლო ვალდებუელბის შესრულება	მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება
7	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის Microsoft Team-is დისტანციურად განხორციელების ეტაპი**	თქვენი სახელი, გვარი, გამოსახულება, ხმა, ელ-ფოსტა, ზეპირი გამოკითხვის დროს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია.	სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელება კანონმდბელობით დადგენილი წესით	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად
8	**ჩემი SBA**	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო (ნებაყოფლობით) ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ, შეფასებების შესახებ, პროფესიული სტუდენტის დასწრების შესახებ;	აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ადმინისტრირება ერთი ფანჯრის პრინციპით	აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად
9	**ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (e-flow)/აკადემიის ინსტიტუციური ელ-ფოსტა**	სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა (არსებობის შემთხვევაში), მონაცემთა სუბიექტის მიერ კორესპონდენციაში მითითებული ინფორმაცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია (პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ	აკადემიის საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის პროცესის ეფექტურად წარმართვა, საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად

		დამატებით/განმეორებით გამოცდაზე დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში).		განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა
10	**ა(ა)იპ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სისტემა - „Openbiblio“**	თქვენი სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, გატანილი წიგნის სახელწოდება, საინვენტარო ნომერი, გატანისა და დაბრუნების თარიღები.	საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აღჭურვა სასწავლო რესურსებით	მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება
11	**ვიდეომეთვალყურეობა**	მონაცემთა სუბიექტის ვიდეოგამოსახულება	მონაცემთა სუბიექტების უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის, ასევე აკადემიის სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებისათვის, რომელთა მიღწევა სხვა ალტერნატიული საშუალებებით ვერ განხორციელდება ან/და იგი აკადემიისაგან მოითხოვს არაპროპორციულ ხარჯებს/ძალისხმევას,	პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი
12	**ვიზიტორთა შესვლა-გასვლის აღრიცხვა**	თქვენი სახელი, გვარი, აკადემიის ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის დრო	აკადემიის უსაფრთოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთოების დაცვა	აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი
13	**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, ჩვენი სოციალური ქსელის გვერდზე, თქვენს მიერ ნებაყოფლობით განაცხადის ფორმის შევსების ეტაპი**	თქვენი სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, განათლება, ასაკი, სასურველი პროგრამა.	აკადემიის მიერ პოტენციური მომხმარებლების მოზიდვისა და პოტენციური კლიენტებთან ეფექტური კომუნიკაცის, პოტენციური კლიენტების შესახებ ინფორმაციის ანალიზი/ტენდენციების განსაზღვრის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (VET.GE) რეგისტრაციის პროცესში პოტენციური აპლიკანტის მხარდაჭერისა და აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად	აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი მონაცემთა სუბიექტისათვის მომსახურების გაწევა
14	**აკადემიის ვებ/გვერდზე/სოციალურ ქსელში/საიმიჯო მასალებზე თქვენი პერსონალური მონაცემების განთავსების ეტაპი**	თქვენი სახელი, გვარი, ფოტო, ვიდეო, სტატუსი, ინფორმაცია თქვენი მიღწევების შესახებ	აკადემიის საქმიანობის პოპულარიზაციისა ან/და აკადემიის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება	მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი
15	**პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კვლევის ეტაპი**	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ელ-ფოსტა.	აკადემიის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება

				აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი
16	**აკადემიაში დანერგილი შეფასების სისტემის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი**	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პროფესიული სტუდენტის უნიკალური ნომერი, პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტუმენტი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, ხელმოწერა	აკადემიის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლების შეფასების ნაწილში პროგრამის განვითარების შეფასების მიზნით, საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი
17	**საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან (ინსტრუქტორთან) უკუკავშირის პროცესი**	პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების შეფასება.	აკადემიის პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ეფექტიანობის შეფასება, საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი
18	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დადასტურებისათვის მტკიცებულებების შეგროვების ეტაპი**	ნებისმიერი მონაცემი, რომლის წარდგენის გარეშე, აკადემია ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების დადასტურებას.	საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება	აკადემიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულება აკადემიის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი

მუხლი 9. მონაცემთა გადაცემა მესამე პირებისთვის

1. აკადემია თქვენს მონაცემებს მესამე პირებს გადასცემს თქვენი თანხმობის, საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძვლებით. კერძოდ:
2. **თქვენი მონაცემები, მათ შორის, გადაეცემა:**

   ა) სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;[21]

   ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

   გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს;

   დ) პროფესიული მომზადება-გადამზადების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს;

   ე) საწარმოო პრაქტიკის თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციას;

   ვ) სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს;

   ზ) სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს.
3. აკადემია მონაცემების დამუშავების პროცესში სარგებლობს მესამე პირების მომსახურებით, მათთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნულ ურთიერთობაში იურიდიული ან/და ფიზიკური პირები წარმოადგენენ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს, ხოლო აკადემია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს. კონტრაქტორი პირების მიერ შესასრულებელი დავალების ხასიათის გათვალისწინებით,

[21] მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

შესაბამისი მიზნობრიობითა და მოცულობით, მათ დაშვება გააჩნიათ/შესაძლოა მიენიჭოთ თქვენს მონაცემებზე წვდომა.

4. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოება. აღნიშნულ პირებთან თანამშრომლობა ხდება მხოლოდ შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია მონაცემთა დამუშავებისა და უსაფრთხოების საკითხები და მათ შორის ის, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ აკადემიის საქმიანობის მიზნებისთვის.

მუხლი 10. მონაცემთა შენახვა

1. თქვენი მონაცემები ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ა) პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები - უწყისის გაფორმებიდან - 3 წელი;

ბ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასების მტკიცებულებები - პროგრამის დასრულებიდან - 1 თვე;

გ) შეფასების უწყისები - 25 წელი;

დ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე- 75 წელი.

2. მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული ვადის არარსებობის შემთხვევაში, მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, იშლება, ნადგურდება ან ინახება დეპერსონალიზებული ფორმით. ამასთან, თანხმობის საფუძველზე შეგროვებული თქვენი მონაცემი ინახება თქვენი თანხმობის გამოთხოვამდე.

მუხლი 11. მონაცემთა უსაფრთხოება

1. თქვენი მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები. აკადემიის ელექტრონულ სისტემებში მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია იმ მომხმარებლებით, რომელთა უშუალო ფუნქცია-მოვალეობებში შედის მონაცემთა დამუშავება. მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ სამსახურებრივი კომპიუტერებიდან, წვდომაზე უფლებამოსილ ყველა პირს აქვს საკუთარი, განპიროვნებული მომხმარებლის სახელი და პაროლი.
2. ელექტრონულ ბაზებში არსებული ყველა მონაცემის მიმართ განხორციელებული მოქმედება აღირიცხება (ლოგირების სისტემა).
3. მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმებები მოიცავს მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. მატერიალური დოკუმენტები ინახება არავტორიზებულ პირთაგან დაცულ ადგილას და მასზე წვდომა მკაცრად შეზღუდულია.
5. ჩვენ ვერ ვიქნებით პასუხისმგებელი კიბერდამნაშავეებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებით განპირობებული თქვენი პერსონალური მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვაზე.

მუხლი 12. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ (გააუქმოთ) თქვენს მიერ გაცემული თანხმობა, რა დროსაც შეწყდება თქვენი თანხმობის საფუძველზე თქვენი მონაცემების დამუშავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების საფუძველი.
2. თანხმობის გამოხმობა ხდება აკადემიაში შესაბამისი განცხადების (ზეპირი/წერილობითი) წარდგენის საფუძველზე.
3. თანხმობის გამოხმობამდე თქვენ უფლება გაქვთ აკადემიას მოსთხოვთ ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ
4. მონაცემთა სუბიექტს ასევე, უფლება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამავე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიიღოს ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების შესახებ, მოითხოვოს მონაცემთა გაცნობა და ასლის მიღება, მოითხოვოს მონაცემთა განახლება, გასწორება ან შევსება, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან მონაცემთა წაშლა თანხმობის გამოთხოვით, ასევე, მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა.
5. აკადემია უზრუნველყოფს რომ დაცული იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული უფლებები, თუ არ არსებობს მათი რეალიზების, ამავე კანონით გათვალისწინებული შემზღუდავი გარემოება.
6. თქვენი უფლებების რეალიზების მიზნით, ასევე თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის კონსულტაციის საჭიროებისას, გთხოვთ დაუკავშირდეთ აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს (იხ. დოკუმენტის ბოლო ნაწილი).

მუხლი 13. მონაცემთა სუბიექტების უფლებების შეზღუდვა

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

   ა) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
გ) დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
ე) მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
ვ) მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
ზ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
თ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

2. მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად. ამასთან, უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, აკადემიის გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

მუხლი 14. პოლიტიკის განახლება

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების ცვლილების შემთხვევაში, პოლიტიკა ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.

დაგვიკავშირდით

თუკი გაქვთ შეკითხვები წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკისა თუ პერსონალური მონაცემების დაცვის ჩვენეულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:

აკადემიის ელექტრონული ფოსტა: info@sba.edu.ge
ტელეფონის ნომერი: 240 34 40; 240 33 40;
აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - შპს ,,მონაცემთა დაცვის გუნდი"
საკონტაქტო ინფორმაცია: info@dpt.ge, 599 08 61 98.